

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 6: რთულ მდგომარეობაში მყოფი საწარმოები



საწარმო, რომელსაც ფინანსური სირთულეები აქვს, შეიძლება ფინანსური დანაშაულის მსხვერპლი გახდეს და ასევე ბოროტმოქმედთა სამიზნეც. ასეთი სიტუაციების სირთულე ზრდის იმის რისკს, რომ ბუღალტერმა შესაძლოა უნებლიედ ხელი შეუწყოს ფულის გათეთრებას. მნიშვნელოვანია, რომ ბუღალტერებმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ რთულ მდგომარეობაში მყოფ საწარმოებს, კარგად გაიცნობიერონ შესაბამისი სუსტი მხარეები და ეფექტურად შეამცირონ ისინი რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

როგორ შეიძლება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი წარმოიშვას რთულ მდგომარეობაში მყოფ საწარმოში?

ფინანსური სირთულეების მქონე საწარმო დაუცველია დამნაშავეთა ექსპლუატაციისგან იმ ფინანსური ზეწოლის გამო, რომელიც შეიძლება განიცადონ მისმა მფლობელებმა ან ხელმძღვანელებმა. დამნაშავეს შეუძლია დაარწმუნოს საწარმოს მფლობელი, რომ მან დაუშვას ბიზნესში ინვესტიციის განხორციელება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გამოყენებით. შემდეგ, მოგვიანებით ის შეძლებს ამავე საწარმოდან სარგებლის მიღებას, რომელიც გამოჩნდება, როგორც კანონიერი შემოსავალი. საწარმოს მეშვეობით სახსრების ამ გზით გადაადგილებამ შეიძლება დაფაროს დანაშაულებრივი შემოსავლების კვალი.

კერძოდ, ბოროტმოქმედებმა უკანონო შემოსავლების გათეთრების მიზნით შეიძლება შეიძინონ ისეთი საწარმო, რომელიც მუშაობს ნაღდი ანგარიშსწორებით. ხშირად ფულის გათეთრებლების მიზანია ფლობდნენ ისეთ საწარმოს, სადაც ნაღდი ფული ინტენსიურად მოძრაობს, რადგან მისი საშუალებით დამნაშავეები შეძლებენ დიდი რაოდენობის ფულადი სახსრების ინტეგრირებას ფინანსურ სისტემაში. ასეთი ინტეგრაციის მიღწევის ერთ-ერთი მეთოდია ნარკოტიკების გაყიდვიდან ან სხვა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შენიღბვა, თითქოს ეს იყოს საწარმოს სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმო თაღლითური ქმედებების მსხვერპლი შეიძლება გახდეს საწარმოში მომუშავე პირების მეშვეობითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია თვითონ საწარმოს შემოსავლები მოიცავდეს დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს. პროფესიონალმა ბუღალტერებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ასეთ სიტუაციებთან სათანადოდ გასამკლავებლად.

როგორ გამოვიყენოთ „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“?

პროფესიონალმა ბუღალტერებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- თუ მონაწილეობენ საწარმო მიერ განხორციელებული თანხების გადახდის და განაწილების ოპერაციებში, უნდა გაარკვიონ ვინ არის თანხების მიმღები?
- ვინ არიან საწარმოს მფლობელები და ხელმძღვანელები? მიიღებენ ისინი ფულს ამ ბიზნესიდან?
- საწარმოს სავაჭრო საქმიანობა ისეთ სფეროს უკავშირდება, სადაც მაღალია ფულის გათეთრების რისკი? ან ხომ არ შეიცავს საგადასახადო თაღლითობის ან მოთხოვნების ინვოისების სესხის უზრუნველყოფის სახით გამოყენებასთან დაკავშირებულ თაღლითობის რისკებს?
- საწარმოსა და მისი ბენეფიციარი მფლობელების, ან საწარმოს სავაჭრო საქმიანობის ადგილმდებარეობა ისეთ იურისდიქციაშია, რომელსაც ფულის გათეთრების მაღალი რისკი ახასიათებს?
- თუ მესამე მხარე ცდილობს საწარმოს შესყიდვას, ან თქვენი დამკვეთი არის მყიდველი, რამდენად ნათელია შემოთავაზებული შესყიდვის წინადადების კომერციული საფუძველი? ვინ არის მესამე მხარე?
- შეუძლია პროფესიონალ ბუღალტერს გარიგების შესრულებაზე უარის თქმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ?

როგორც ყოველთვის, ბუღალტერებმა გონივრული ზომები უნდა მიიღონ მათ მიერ შეფასებული რისკების სამუშაო დოკუმენტებში სათანადოდ ასახვისთვის.

მაგალითები

თაღლითობა თვითონ საწარმოში

ბ-ნი სმიტი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კომპანიას, შპს „ომეგას“, რომელიც ფლობს ბენზინგასამართ სადგურებს და მათთან მიმდებარე პატარა მაღაზიებს. ომეგას გაყიდვების უმეტესი ნაწილი ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაყიდვები დაცემას განიცდიდა და ბიზნესი გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა.

ბ-მა სმიტმა მოიწვია ბუღალტერი, რომელიც სპეციალიზებული იყო ბიზნესის აღდგენის მომსახურებაზე, რათა მისგან კონსულტაციები მიეღო ომეგას რესტრუქტურის ვარიანტებთან დაკავშირებით. ბუღალტერმა შეისწავლა ომეგას ფინანსური მდგომარეობა და კომპანიის ანგარიშებში გამოავლინა 50 000 აშშ დოლარის ოდენობის დანაკლისი. შემდგომი გამოკვლევის შედეგად, ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღიარა, რომ მას ჰქონდა აღებული ეს ფული ონლაინ პოკერის თამაშების პირადი დავალიანების დასაფარად.

ბ-ონ სმიტს არ სურდა თანამშრომელზე პოლიციაში განაცხადის გაკეთება, რადგან ეჭვობდა, რომ დაიბრუნებდა მოპარულ ფულს. ამის მიუხედავად, ბუღალტერმა, მას შემდეგ რაც გაიარა კონსულტაციები როგორც თვითონ კომპანიაში, ისე პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, გადაწყვიტა საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშის გაგზავნა, სადაც დეტალურად იყო აღწერილი თანამშრომლის ქურდობის ფაქტი.

ნაღდი ფულის შეთავაზება

მეტროპოლისის ცნობილი ქალაქის ცენტრი ყოველთვის სახვე იყო მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ტურისტებით. ათობით პატარა სუვენირების მაღაზია იყო გვერდიგვერდ ჩამწკრივებული ცენტრალურ ქუჩებში და ისინი აქტიურად ვაჭრობდნენ სხვადასხვა იაფფასიანი სამკაულით, მასიურებით და სხვა წვრილმანებით. ერთ-ერთი ასეთი მაღაზია პროფესიონალი ბუღალტრის ერთ ძველ დამკვეთს ეკუთვნოდა და საქმე საკმაოდ წარმატებულად მიდიოდა. შემდეგ 2020 წლის მარტში, კოვიდ-19-მა ყველაფერი შეცვალა. ტურისტებმა შეწყვიტეს ჩამოსვლა და დამკვეთის ბიზნესი გაჩერდა. თვეები გადიოდა და მდგომარეობის მალე გამოსწორების იმედთან ერთად ზარალი უფრო და უფრო იზრდებოდა. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეტროპოლისის სხვა სუვენირების მაღაზიებიც. პროფესიონალი ბუღალტერი ხედავდა, როგორ მიმდებოდა დღითიდღე დამკვეთის ფინანსური მდგომარეობა და ერთადერთ გამოსავალს მაღაზიის დახურვაში ხედავდა. 2020 წლის შემოდგომის ერთ დღეს, ეს დამკვეთი ესაუბრებოდა მეგობარს, სხვა სუვენირების მაღაზიის მესაკრებელს, რომელმაც უთხრა, რომ უკვე გაყიდა თავისი მაღაზია და პენსიაზე გავიდა. დამკვეთი გაოცებული დარჩა, რომ ეს ძალიან სწრაფად მოხდა. მეგობარმა გაუშარტა, რომ რამდენიმე დღით ადრე ვიღაც მივიდა მის მაღაზიაში და შეთავაზა მაღაზიის სანაცვლოდ დაუჯერებლად მაღალი ფასის გადახდა, ნაღდი ფულით და დაუყოვნებლივ. მეგობარმა ვერ გაუშვა ხელიდან ასეთი შემთავაზება და დათანხმდა. რამოდენიმე დღის შემდეგ, ბუღალტრის დამკვეთთანავე გამოჩნდა ერთი კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც ანალოგიურად სთავაზობდა ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას, მდგომარეობის სათანადოდ შესწავლის (დიუ დილიჯენსის) გარეშე.

მაღაზიის გაყიდვასთან დაკავშირებით რჩევის მისაღებად, დამკვეთმა მიმართა პროფესიონალ ბუღალტერს, რომელმაც გარკვია, რომ ეს კომპანია დაფუძნებული იყო ოფშორულ იურისდიქციაში და ბენეფიციარი მფლობელების ვინაობის დადგენა რთული იქნებოდა. დამკვეთის ისტორიაში საფრთხის მაუწყებელი ნიშნებითა და კომპანიის შესახებ ინფორმაციის სიმწირით შემფოთებული ბუღალტერი უარს ეუბნება დამკვეთს მაღაზიის გაყიდვასთან დაკავშირებით რაიმე რჩევის მიცემაზე. პროფესიონალი ბუღალტერი მიმართავს ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს და წარუდგენს საეჭვო საქმიანობის ანგარიშს.

საფრთხის მაუწყებელი ძირითადი ნიშნები

- თუ მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება ან სამოქალაქო საქმის წარმოება თანხების დაბრუნების თაობაზე, კომპანიის ხელმძღვანელობის ან ბენეფიციარი მფლობელების მონაწილეობით;
- თუ არსებობს თანამშრომელთა მიერ წარდგენილი მამხილებელი ანგარიშები, რომლებიც მიუთითებს, რომ სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი;
- თუ შესაძლებელია მხარე ზედმეტად გულუხვ წინადადებას სთავაზობს რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ საწარმოს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ნაღდი ანგარიშსწორებით.

რა დროს უნდა თქვით უარი გარიგებაზე

- როდესაც დაადგინეთ, რომ ფულადი სახსრების გადახდით ან აქტივების გადაცემით ხელს შეუწყობთ ბოროტმოქმედს საწარმოს მეშვეობით დანაშაულებრივი გზით მოგების მიღებაში;
- როდესაც საწარმოში გამოავლენთ თაღლითურ საქმიანობას ამჟამინდელი ხელმძღვანელობის თანამონაწილეობით;
- როდესაც ეჭვი გაგიჩნდებათ საწარმოს მყიდველი მესამე მხარის ვინაობასთან ან მის წარსულთან დაკავშირებით;
- ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება გულისხმობდეს, რომ პროფესიონალ ბუღალტერს არ შეუძლია გარიგებიდან გამოსვლა, რომელიც უკავშირდება საწარმოს გადახდის უზნარობას. ასეთ შემთხვევაში პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე და მიიღოს ყველა შესაბამისი სამართლებრივი გარანტია, რათა თავი დაიცვას ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენისგან.

ანგარიშის წარდგენა საეჭვო საქმიანობის შესახებ (“SAR”)

თუ ეჭვი შეგეპარებათ, რომ რთულ მდგომარეობაში მყოფ საწარმოში შეიძლება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები არსებობდეს, შეგიძლიათ თქვენ ეჭვის შესახებ აცნობოთ ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს. ზოგიერთ იურისდიქციაში ამგვარი ანგარიშის წარდგენა პროფესიონალი ბუღალტრის სამართლებრივი ვალდებულებაა.

დამატებითი დახმარება



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის სახელმძღვანელო მითითებები „ბუღალტრის პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ“, ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.



529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | ifac.com/company/ifac



www.icaew.com
@icaew | icaew.com/company/icaew

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 6: რთულ მდგომარეობაში მყოფი საწარმოები“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 6: რთულ მდგომარეობაში მყოფი საწარმოები“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 6: რთულ მდგომარეობაში მყოფი საწარმოები“ - ქართულენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Anti-money laundering: The Basics – Installment 6: Businesses in difficulty*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org